



**2018 წლის 17 სექტემბრის
სსიპ საქართველოს ადვოკატთა
ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს
სხდომის ოქმი**

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მისამართი:

თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. N36

სხდომის დაწყების დრო: 19:00

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ციცილო ცხვედიანი, გიორგი ტურაზაშვილი, ირაკლი ყანდაშვილი, მარიამ კუბლაშვილი, ტარიელ კაკაბაძე, გიორგი თევზაძე, მამუკა ნოზაძე, ზურაბ როსტიაშვილი, დათუნა მოდებაძე, ნათია კორკოტაძე.

სხდომის დღის წესრიგი

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება: გიორგი დონაძე; დავით ბერძული; ბექა წიკლაური; თამარი გადრანი; გიორგი ბერუაშვილი; თამუნა ბუზალაძე; მედეა წიკლაური; ლევან კირცხალია; ანი ჩომახიძე; ნანა ნატროშვილი; თეონა გოდერძიშვილი; გიორგი მიქელაძე; მიხეილ სადრაძე; ნინო მჟავანაძე; ქეთევანი სვანიძე; რუსუდან გერგაული; დავით ბასილაია; ოთარი ამილახვარი; ნათელა ნაყოფია; ნათია ყუბანეიშვილი; გიორგი ბარამიძე; ანი ჩომახიძე; სალომე გელაშვილი; ეკა გვათუა.

წევრები გაეცნენ გასაწევრიანებელ პირთა განცხადებებს:

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ზემოთხსენებულ პირების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული საჭირო დოკუმენტებით შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

მსჯელობის შემდეგ, აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული

გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს გიორგი დონაძის, დავით ბერძულის, ბექა წიკლაურის, თამარი გადრანის, გიორგი ბერუაშვილის, თამუნა ბუზალაძის, მედეა წიკლაურის, ლევან კირცხალიას, ანი ჩომახიძის, ნანა ნატროშვილის, თეონა გოდერძიშვილის, გიორგი მიქელაძის, მიხეილ სადრაძის, ნინო მჭავანაძის, ქეთევანი სვანიძეს, რუსუდან გერგაულის, დავით ბასილაიას, ოთარი ამილახვარის, ნათელა ნაყოფიას, ნათია ყუბანიშვილის, გიორგი ბარამიძეს, ანი ჩომახიძის, სალომე გელაშვილის და ეკა გვათუას განცხადებები გაწევრიანების შესახებ.

აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ:

ა) **სალომე ხოზრევანიძის** განცხადებას გაწევრიანების შესახებ. მას წარმოდგენილი ჰქონდა შრომითი სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, 2014 წლის 25 თებერვლიდან 2017 წლის პირველ თებერვლამდე - მონაცემთა დამუშავებისა და განახლების სამსახურში შტატგარეშე მოსამსახურედ მუშაობის შესახებ, რომლის თანახმადაც მითითებულ პერიოდში სალომე ხოზრევანიძის ფუნქცია-მოვალეობებს შეადგენდა: უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის ელექტრონული პროგრამის დანერგვამდე რეგისტრირებულ უფლებებზე ელექტრონული სააღრიცხვო ბარათების შექმნა და გამოვლენილი უზუსტო მონაცემების დოკუმენტაციის შესაბამისად გასწორება; უფლებამოსილების ფარგლებში კორექტირების განხილვა და შესაბამისი პასუხების მომზადება; სააგენტოს დებულებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში სააგენტოს ხელმძღვანელობის ცალკეული დავალებების შესრულება. ასევე, სალომე ხოზრევანიძეს მიერ წარმოდგენილ ცნობაში მითითებული იყო, რომ 2017 წლის პირველი თებერვლიდან 2018 წლის 3 იანვრამდე მას ეკავა ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურში შტატგარეშე მოსამსახურის პოზიცია, 2018 წლის 3 იანვრიდან 2019 წლის 3 იანვრამდე დასაქმებული იყო ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურში სპეციალისტის პოზიციაზე და 2018 წლის 21 თებერვლის N410/ს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბრძანების საფუძველზე მას დაევა ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურის რეგისტრატორის უფლებამოსილების დროებით შესრულება. ცნობაში მითითებული ჰქონდა, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურში მუშაობისას მის ფუნქცია-მოვალეობებს შეადგენდა: უძრავ ნივთებზე „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებების, უძრავ ნივთებზე საკუთრების

უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულებების წარმოშობის, მათში ცვლილებების და მათი შეწყვეტის, სუბიექტისა და ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემების შეცვლის შესახებ მონაცემთა აღრიცხვა უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში, რეგისტრაციის თაობაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებით; საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მომზადება და უფლებამოსილების ფარგლებში კორექსონდენციის განხილვა და შესაბამისი პასუხის მომზადება.

წევრებმა განაცხადეს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტით ნათლად არ დასტურდება იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრები იმსჯელებდნენ აღნიშნული შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან. წევრებმა განაცხადეს, რომ სალომე ხოზრევანიძეს შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით დაევალოს საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტთან მიმართებით, დამატებითი დოკუმენტის წარმოდგენა კერძოდ, პოზიციისთვის გაწერილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების მითითებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენამდე განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება. ამავე მუხლის, მე-6 პუნქტის თანახმად, განცხადების განხილვის ვადის დინება განახლდება შესაბამისი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარდგენისთანავე.

აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

1. შეჩერდეს სალომე ხოზრევანიძის განცხადების განხილვა გამოთხოვილი დოკუმენტის წარმოდგენამდე;
2. სალომე ხოზრევანიძის განცხადების განხილვის ვადის დინება გაგრძელდეს მითითებული დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ;
3. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ:

ბ) გურამი აბუაშვილის განცხადებას გაწევრიანების შესახებ. მას წარმოდგენილი ჰქონდა შრომითი სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი ნამსახურობის ნუსხა, რომლის თანახმადაც მან პროკურატურაში შრომითი საქმიანობა დაიწყო 1995 წელს. 1995 წლის 17 ნოემბრიდან - 1998 წლის 30 იანვრამდე გურამი აბუაშვილის იყო გორისა და გორის რაიონის პროკურატურის სტაჟიორი; 1998 წლის 30 იანვრიდან - 2001 წლის 10 ივლისამდე გორის პროკურატურის გამომძიებელი; 2001 წლის 10 ივლისიდან - 2003 წლის 5 სექტემბრამდე გორის რაიონული პროკურორის თანამშემწე; 2003 წლის 5 სექტემბრიდან - 2004 წლის 22 აპრილამდე შიდა

ქართლის საოლქო პროკურატურის სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორი; 2004 წლის 22 აპრილიდან - 2004 წლის 2 აგვისტომდე კასპის რაიონული პროკურორი; 2004 წლის 2 აგვისტოდან - 2004 წლის 26 აგვისტომდე იმყოფებოდა კადრების განკარგულებაში და დროებით დაკისრებული ჰქონდა კასპის რაიონული პროკურორის მოვალეობის შესრულება; 2004 წლის 26 აგვისტოდან - 2004 წლის 29 ოქტომბრამდე იყო შიდა ქართლის საოლქო პროკურორის მოადგილე; 2004 წლის 29 ოქტომბრიდან 2004 წლის 7 დეკემბრამდე იყო გორის რაიონული პროკურორის მოადგილე და საქართველოს გენერალური პროკურორის 2004 წლის 7 დეკემბრის N459 ბრძანებით, გურამ აბუაშვილი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვნილ იქნა პროკურატურიდან საკუთარი ნება-სურვილით. გურამ აბუაშვილს ასევე, წარმოდგენილი ჰქონდა საქართველოს იუსტიციის საბჭოს 2002 წლის 7 დეკემბერს ჩაბარებული პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარების დამადასტურებელი სერთიფიკატი, ასევე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2006 წლის 25 მარტს გაცემული სერთიფიკატი მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შესახებ, სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

წევრებმა განაცხადეს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 21- მუხლის მესამე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით მის მიერ პროკურატურის მუშაკთა შესაბამისი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებიდან გასულია 10 წელი და იგი დადგენილი წესით გამწესდა პროკურორად, შესაბამისად წევრებმა აღნიშნეს, რომ იგი აკმაყოფილებს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 21- მუხლის მესამე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიცია დააფიქსირა დათუნა მოდებამდე. აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრის შედეგად (10 მომხრე, 1 წინააღმდეგი - დათუნა მოდებამდე) მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

1. დაკმაყოფილდეს გურამი აბუაშვილის განცხადება გაწევრიანების თაობაზე;
3. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ:

გ) დავით მეზერიშვილის განცხადებას გაწევრიანების შესახებ. მას წარმოდგენილი ჰქონდა შრომითი სტაჟის დამადასტურებელი ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან 2008 წლიდან 2017 წლის 31 ოქტომბრამდე სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობის შესახებ და ასევე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 22 დეკემბერს გაცემული პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარების სერთიფიკატი.

წევრებმა განაცხადეს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, ის ფაქტი რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით მის მიერ პროკურატურის მუშაკთა შესაბამისი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებიდან გასულია 10 წელი თუმცა წარმოდგენილი სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობით არ დასტურდება, რომ იგი დადგენილი წესით გამწესდა პროკურორად. წევრებმა განაცხადეს, რომ დავით მეზვრიშვილს შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით დაევალოს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტთან მიმართებით, დამატებითი დოკუმენტის წარმოდგენა კერძოდ, წარმოადგინოს ცნობა რითაც დასტურდება, მის მიერ პროკურატურის მუშაკთა შესაბამისი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდგომ დადგენილი წესით პროკურორად ან მასთან გათანაბრებულ პოზიციაზე პირის გამწესების ფაქტი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენამდე განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება. ამავე მუხლის, მე-6 პუნქტის თანახმად, განცხადების განხილვის ვადის დინება განახლებად შესაბამისი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარდგენისთანავე.

აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

1. შეჩერდეს დავით მეზვრიშვილის განცხადების განხილვა გამოთხოვილი დოკუმენტის წარმოდგენამდე;
2. დავით მეზვრიშვილს განცხადების განხილვის ვადის დინება გაგრძელდეს მითითებული დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ;
3. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ:

დ) ცოტნე ანანიძეს განცხადებას გაწვევრიანების შესახებ. მას წარმოდგენილი ჰქონდა შრომითი სტაჟის დამადასტურებელი ცნობა სამშენებლო კომპანია შპს „თერმო ჯგუფიდან“, რომლის თანხმად დასტურდება, რომ 2012 წლის 24 დეკემბრიდან 2013 წლის 10 იანვრამდე ცოტნე ანანიძე მუშაობდა სამშენებლო კომპანია შპს „თერმო ჯგუფის“ იურისტად. ასევე, წარმოდგენილი ჰქონდა ცნობა ნასამართლობის შესახებ, რითაც დასტურდება, რომ ცოტნე ანანიძე ნასამართლევა და გასამართლებული იყო 2011 წლის 7 დეკემბრის ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ სსკ-ის 222-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სსკ-ის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

წევრებმა განაცხადეს, რომ წარმოდგენილი შრომითი სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტით ნათლად არ დასტურდება იურისტის პროფესიული საქმიანობის

განხორციელების ფაქტი და ვადები, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრები იმსჯელებდნენ აღნიშნული შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან. წევრებმა განაცხადეს, რომ ცოტნე ანანიძეს შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით დაევალოს საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტთან მიმართებით, დამატებითი დოკუმენტის წარმოდგენა, რომელიც დაადასტურებს მისი სამუშაო სტაჟის შესაბამისობას. წევრებმა ასევე, იმსჯელეს ცოტნე ანანიძის მიერ წარმოდგენილი ნასამართლობის ცნობაზე და განაცხადეს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ადვოკატი არ შეიძლება იყოს განზრახი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის ნასამართლესი პირი, თუ ნასამართლობა არ აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. წევრებმა განაცხადეს, რომ ცოტნე ანანიძის მიერ წარმოდგენილ ნასამართლობის ცნობაში ნათლად არ დასტურდება ის ფაქტი, რომ მას „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ადვოკატი ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. წევრებმა განაცხადეს, რომ ცოტნე ანანიძეს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მიმართებით, დაევალოს დამატებითი დოკუმენტის წარმოდგენა კერძოდ, წარმოადგინოს ნასამართლობის ცნობა, სასამართლო განჩინება ანდა სხვა დოკუმენტი რითაც დასტურდება, რომ მას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული აქვს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენამდე განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება. ამავე მუხლის, მე-6 პუნქტის თანახმად, განცხადების განხილვის ვადის დინება განახლდება შესაბამისი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარდგენისთანავე.

აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული **გადაწყვეტილება**:

1. შეჩერდეს ცოტნე ანანიძის განცხადების განხილვა გამოთხოვილი დოკუმენტის წარმოდგენამდე;
2. ცოტნე ანანიძის განცხადების განხილვის ვადის დინება გაგრძელდეს მითითებული დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ;
3. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ:

ე) ლალი ზაგრატიონის განცხადებას გაწევრიანების შესახებ. მას წარმოდგენილი ჰქონდა შრომითი სტაჟის დაადასტურებელი დოკუმენტი რომლის თანახმადაც ის 2006-2011 წლებში

მუშაობდა საქართველოს პარლამენტის განათლების მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტში იურისტად. 2011 წლის მარტიდან დაინიშნა საქართველოს ნოტარიუსად და 2015 წლის ივნისში პირადი განცხადების საფუძველზე განთავისუფლდა ნოტარიუსის თანამდებობიდან. 2015 წლიდან ლალი ბაგრატიონი ეწევა კერძო საადვოკატო საქმიანობას მარინე კორძაძის საადვოკატო ოფისში. ასევე, მან წარმოადგინა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ 2006 წელს გაცემული ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარების დამადასტურებელი სერთიფიკატი, სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით.

წევრებმა განაცხადეს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით ლალი ბაგრატიონის მიერ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებიდან გასულია 10 წელი, თუმცა წარმოდგენილი სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობით არ დასტურდება, რომ იგი დადგენილი წესით გაწევრებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, ან გამწესდა მოსამართლედ ან პროკურორად, რაც „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნით ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებაზე პირისთვის უარის თქმის საფუძველია.

აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

1. არ დაკმაყოფილდეს ლალი ბაგრატიონის განცხადება გაწევრიანების თაობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-21 მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო;
2. განმცხადებელს წერილობით ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების და მისი გასაჩივრების წესის თაობაზე.

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ ადვოკატთა ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების მსურველი პირების ნათია მსხვილიძეს, ეთერ საბიაშვილის, ქეთევანი იოსელიანის, ტოგო უჩაიძეს, მერაბ ნინუას და გიორგი ტარულიშვილის განცხადებებს. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ზემოხსენებული პირების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული საჭირო დოკუმენტებით შესაბამისობაშია საქართველოს „კანონის ადვოკატთა“ შესახებ საქართველოს კანონის, მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

მსჯელობის შემდეგ, აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

- ა) “ადვოკატთა შესახებ” კანონის, მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ხელახლა გაწევრიანებისთვის წარმოდგენილი განცხადებები.

ბ) განმცხადებელ - გიორგი ტარულიშვილის წერილობით ეცნობოს საწევრო გადასახადის დავალიანების თაობაზე.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ ადვოკატთა შესახებ კანონის 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებებს: **ბექა წიკლაური, ნათია მსხვილიძე, თეონა გოდერძიშვილი, ბაჩანა ჯიშკარიანი, ცირა ხუნწარია, გურამი იმნაძე, 2017-2018 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრი: დიმიტრი გუგუნავა.**

წევრებმა განაცხადეს, რომ ჩამოთვლილ პირთაგან, რომელთაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, 2017-2018 წლების საწევრო აქვთ გადასახდელი, ეცნობოთ, რომ საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავდროულად კანონის 21³ მუხლის პირველი პუნქტის, „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად: „საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით, წევრობის შეჩერების შესახებ, საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21³ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა“ ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოვეწლიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოეშვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21³ მუხლის, 1 პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ“ ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა“.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული

გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ კანონის, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაუკმაყოფილდეს ზემოთჩამოთვლილ შემდეგ პირთა განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ: **ბექა წიკლაური, ნათია მსხვილიძე, თეონა გოდერძიშვილი, ბაჩანა ჯიშკარიანი, ცირა ხუნწარია, გურამი იმნაძე.** ამასთან, 2017-2018 წლების საწევრო დავალიანების მქონე პირს - დიმიტრი გუგუნავას ეცნობოს ინფორმაცია მის მიმართ არსებული საწევრო დავალიანების და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ,

აგრეთვე იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მას შეუწყდება წევრობა.

საკითხი 4. 2018 წლის საწევრო გადასახადისგან გათავისუფლების შესახებ განცხადების განხილვა.

თავმჯდომარემ წევრებს წარუდგინა ადვოკატის ინდივიდუალური განცხადება **2018 წლის საწევრო გადასახადისგან გათავისუფლების შესახებ - ზეინაბ კვიჩინაძე;**

წევრებმა განაცხადეს, რომ რადგან მოცემული მდგომარეობით, არ არსებობს დადგენილი კონკრეტული კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც მოხდებოდა მსგავსი განცხადებების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება; ასევე, გასულ სხდომაზე დაკმაყოფილდა ყველა მსგავსი განცხადება, საბჭო თვლის, რომ წევრთა დისკრიმინაციის თავიდან აცილების მიზნით, მიმდინარე სხდომაზე წარმოდგენილი განცხადებები უნდა დაკმაყოფილდეს განცხადებებში მითითებული მოთხოვნების მიხედვით, თუმცა აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა იქვე დასძინეს, როგორც მიმდინარე წლის 29 მაისის აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე გადაწყდა და აუცილებლად შემუშავდება საწევრო გადასახადისგან გათავისუფლება/გადავადების კონკრეტული კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც მომავალში განიხილება ასეთი განცხადებები.

ადვოკატის ინდივიდუალური განცხადების დაკმაყოფილების თაობაზე 2018 წლის საწევრო გადასახადისგან გათავისუფლების შესახებ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული იქნა გადაწყვეტილება:

- ა) დაკმაყოფილდეს სხდომაზე წარმოდგენილი ზეინაბ კვიჩინაძის განცხადება, განცხადებებში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად;
- ბ) გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს განმცხადებელს.

საკითხი 5. ასოციაციის აპარატში ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელების საკითხის განხილვა, შესაბამისი სამუშაო აღწერილობის დამტკიცება, საშტატო განრიგში და სახელფასო ფონდში ცვლილების შეტანა, ვაკანტურ საშტატო ერთეულზე კონკურსის გამოცხადება, საკონკურსო კომისიის შემადგენლობის დამტკიცება.

აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილების თანახმად, რომლითაც ასოციაციის ეთიკის კომისიას უნდა წარედგინა მოსაზრებები ეთიკის კომისიის აპარატის უფროსის საშტატო ერთეულის ფუნქცია-მოვალეობების/სამუშაო აღწერილობის თაობაზე აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ ასოციაციის ეთიკის კომისიის თავმჯდომარის თორნიკე ბაქრაძის 2018 წლის 17 სექტემბრის მომართვასა და დანართ ოქმებს.

წევრები გაეცნენ 2018 წლის 25 ივლისის ეთიკის კომისიის N04/18 სხდომის ოქმს, რომლითაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ეთიკის კომისიის აპარატის უფროსის შტატის შემოღების შესახებ მას შემდეგ რაც გაიმიჯნებოდა აპარატის უფროსის და უფროსი იურისტის ფუნქციები.

საბჭოს წევრებმა მართებულად მიიჩნიეს ეთიკის კომისიის მოსაზრებები ფუნქციების გამიჯვნის თაობაზე და აღნიშნეს, რომ მართლაც მიზანშეწონილია ეთიკის კომისიის აპარატის მენეჯერული ფუნქციების კონსოლიდაცია მოხდეს ეთიკის კომისიის აპარატის უფროსთან, ხოლო უფროსი იურისტს გააჩნდეს კომისიის სამართლებრივ და შინაარსობრივ საკითხებზე მუშაობის მეტი საშუალება.

წევრები გაეცნენ 2018 წლის 31 აგვისტოს ეთიკის კომისიის N05/18 სხდომის ოქმს, რომლის თანახმადაც ეთიკის კომისიამ მიმართა აღმასრულებელ საბჭოს ეთიკის კომისიის აპარატის უფროსისა და უფროსი იურისტის სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შესახებ რომლითაც ეთიკის კომისიამ გამიჯნა აპარატის უფროსისა და უფროსი იურისტის ფუნქციები.

აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ ეთიკის კომისიის მიერ წარმოდგენილ ეთიკის კომისიის აპარატის უფროსისა და ეთიკის კომისიის აპარატის იურისტის სამუშაო აღწერილობებს. დათუნა მოდებამემ გამოთქვა მოსაზრება წარმოდგენილ ეთიკის კომისიის აპარატის იურისტის სამუშაო აღწერილობაში ცვლილების შეტანის თაობაზე, კერძოდ სამუშაო აღწერილობის ბოლო პუნქტი ჩამოყალიბებულიყო შემდეგნაირად: კომისიის თავმჯდომარის, კოლეგიის თავმჯდომარის ან კომისიის წევრის მითითებით სხვა დავალებების შესრულება, რომელიც დაკავშირებულია საჩივრის განხილვასთან. ასევე, ეთიკის კომისიის აპარატის უფროსის სამუშაო აღწერილობაში ბოლო პუნქტი ჩამოყალიბებულიყო შემდეგი რედაქციით: კომისიის თავმჯდომარის, კოლეგიის თავმჯდომარის ან კომისიის წევრის მითითებით სხვა დავალებების შესრულება, რომელიც დაკავშირებულია ეთიკის კომისიის საქმიანობასთან. აღნიშნული პოზიცია გაიზიარა საბჭოს ყველა წევრმა.

ზემოაღნიშნული ეთიკის კომისიის სხდომის ოქმებისა და ასოციაციის ეთიკის კომისიის თავმჯდომარის მომართვის საფუძველზე იმსჯელეს აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა და ღია კენჭისყრის შედეგად (10 მომხრე - დავით ასათიანი (თავმჯდომარე), გიორგი ტურაზაშვილი, ირაკლი ყანდაშვილი, მარიამ კუბლაშვილი, ტარიელ კაკაბაძე, გიორგი თევზაძე, მამუკა ნოზაძე, ციცილო ცხვედიანი, ზურაბ როსტიაშვილი, ნათია კორკოტაძე; კენჭისყრაში მონაწილეობისაგან თავი შეიკავა დათუნა მოდებამემ) **მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:**

- (ა) ასოციაციის აპარატში განხორციელდეს ორგანიზაციული ცვლილება, შემოღებულ იქნას ასოციაციის ეთიკის კომისიის აპარატის უფროსის სამტატო ერთეული (დანართი 1);
- (ბ) დამტკიცდეს ასოციაციის ეთიკის კომისიის აპარატის უფროსის სამტატო ერთეულისა და ასოციაციის ეთიკის კომისიის აპარატის უფროსი იურისტის ფუნქციები/სამუშაო აღწერილობები დანართი N2-ის შესაბამისად;
- (გ) ცვლილება შევიდეს ასოციაციის სამტატო განრიგში და სახელფასო ფონდში;
- (დ) ეთიკის კომისიის აპარატის უფროსის ვაკანტურ სამტატო ერთეულზე გამოცხადდეს კონკურსი;
- (ე) ეთიკის კომისიის აპარატის უფროსის ვაკანტურ სამტატო ერთეულზე კანდიდატის შერჩევის მიზნით დამტკიცდეს საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით: ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - თორნიკე ბაქრაძე, კოლეგიის თავმჯდომარეები - კონსტანტინე გელაშვილი, ქეთევან უტიაშვილი, ინგა სეხნიაშვილი, ია გაბედავა, ასოციაციის თავმჯდომარე - დავით ასათიანი, აღმასრულებელი საბჭოს წევრები - მამუკა ნოზაძე, გიორგი ტურაზაშვილი,

ასოციაციის აღმასრულებელი მდივანი - გიორგი ჭეხანი, ადმინისტრაციის უფროსი - სალომე ტყეშელაშვილი.

საკითხი 6. ასოციაციის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა.

ასოციაციის აღმასრულებელმა მდივანმა წევრებს გააცნო აპარატში ორგანიზაციული და სტრუქტურული ცვლილებების განხორციელების შედეგად რამდენიმე საშტატო ერთეულისთვის თანამდებობრივი სარგოების მომატების პროექტი:

დამტკიცებული ახალი საშტატო ერთეულისთვის დადგინდეს შემდეგი სახელფასო სარგო: ასოციაციის ეთიკის კომისიის აპარატის უფროსი - 2450.00 ლარი, საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით.

ამასთან, ასოციაციის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა ხელფასების გათანაბრების მიზნით, ასოციაციის ადმინისტრაციის უფროსის არსებული სახელფასო სარგო 2250.00 ლარი გაიზარდოს 200.00 ლარით და გახდეს 2450.00 ლარი, საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით.

ასევე, ეთიკის კომისიის აპარატის უფროსი იურისტისა და იურისტების სამუშაო დატვირთულობიდან გამომდინარე, რაც განპირობებულია ეთიკის კომისიისადმი მიმართვიანობის მკვეთრი ზრდით განხორციელდეს ცვლილება ეთიკის კომისიის აპარატის საშტატო ერთეულებისთვის დადგენილი სახელფასო სარგოების ნაწილში: ეთიკის კომისიის უფროსი იურისტის თანამდებობრივი სარგო 1450.00 ლარი გაიზარდოს 250.00 ლარით და განისაზღვროს 1700.00 ლარის ოდენობით, საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით; ასოციაციის ეთიკის კომისიის აპარატის იურისტის ორი საშტატო ერთეულის თანამდებობრივი სარგო 1300.00 ლარი გაიზარდოს 200.00 ლარით და განისაზღვროს 1500.00 ლარის ოდენობით, საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით.

აღმასრულებელმა მდივანმა წევრებს ასევე, მიაწოდა ინფორმაცია ასოციაციის ბიუჯეტში შესატანი სხვა ცვლილებების თაობაზე, კერძოდ, განმარტა, რომ ასოციაციის აპარატში ორგანიზაციული და სტრუქტურული ცვლილებებისა და თანამდებობრივი სარგოების ზრდის შესაბამისად მიზანშეწონილია ჟურნალისთვის გათვალისწინებული ხარჯის მუხლიდან დარჩენილი თანხის 8600.00 ლარის გადატანა სახელფასო ფონდში;

ასევე, ამოწურულია ასოციაციის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში სხვადასხვა სექციაში არსებული საკანცელარიო ხარჯისთვის გათვალისწინებული თანხის ლიმიტი, რომლის გაზრდა აუცილებელია ასოციაციის აპარატის საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებისთვის. ამდენად, საჭიროა ბიუჯეტში ცვლილების შეტანა და საკანცელარიო ხარჯის ნაწილის გაზრდა 1373.40 ლარით, რის შედეგადაც საკანცელარიო ხარჯის ოდენობა გახდება 1500.00 (ათას

ხუთასი) ლარი, რომელიც მიზანშეწონილია გადმოტანილ იქნას ასოციაციის ბიუჯეტში გათვალისწინებული სარემონტო ხარჯების სექციიდან.

აღმასრულებელი საბჭოს წევრებს, აღმასრულებელმა მდივანმა მიაწოდა ინფორმაცია, რომ ამოწურულია ა(ა)იპ ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი და ფონდის მიზნების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ასოციაციის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა, კერძოდ, ასოციაციის ბიუჯეტში გათვალისწინებული სარემონტო ხარჯების სექციიდან ფონდის ბიუჯეტში 3100.00 ლარის გადმოტანა, რის შედეგადაც ფონდის ბიუჯეტი გახდება 5500.00 (ხუთი ათასი) ლარი.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა წევრმა მამუკა ნოზაძემ ეთიკის კომისიის აპარატის საშტატო ერთეულებისთვის თანამდებობრივი სარგოების გაზრდის ნაწილში. მან აღნიშნა, რომ ასოციაციის ეთიკის კომისიის აპარატის სამუშაო არ არის იმ მოცულობის რომ ეს გახდეს თანამდებობრივი სარგოს მომატების საფუძველი, ასევე, არ არის წარმოდგენილი შესაბამისი დასაბუთება, სტატისტიკურად, თვითურად რამდენი გადაწყვეტილების პროექტის მომზადებაში იღებენ მონაწილეობას ეთიკის კომისიის იურისტები. მან აღნიშნა, რომ უკმაყოფილოა ეთიკის კომისიის იურისტების მუშაობით, რადგან ისინი ვერ ახდენენ ეფექტიანად საქმისწარმოებას, რადგან ხშირ შემთხვევაში საქმისწარმოება გრძელდება არა თუ თვეები არამედ წელიწადზე მეტი დროის განმავლობაში და არ უჩანს დასასრული. ისინი ვერ უზრუნველყოფენ გადაწყვეტილებების დროულ ჩაბარებას, რაც იწვევს ადვოკატთა უკმაყოფილებას. მან კონკრეტული საქმეების დასახელებისგან თავი შეიკავა და განაცხადა, რომ მათ თავადაც კარგად იციან რა საქმეებზეა საუბარი. ასეთი მოცემულობის დროს, როდესაც აპარატი ვერ უზრუნველყოფს საქმიანობის სრულფასოვნად განხორციელებას და არანაირ შრომატევად საქმიანობასთან არ არის დაკავშირებული მათი ფუნქცია-მოვალეობები, მათთვის ხელფასის მომატება მიაჩნია არასწორად. მან განაცხადა, რომ საბჭოს ზოგიერთი წევრის მოსაზრება, რომ ისინი შრომატევად საქმიანობას ახორციელებენ არ დასტურდება შესაბამის მტკიცებულებებით და ამის გამო ის არ ეთანხმება მათთვის თანამდებობრივი სარგოს მომატების საკითხს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად (11 მომხრე, 1 წინააღმდეგი - ეთიკის კომისიის აპარატის საშტატო ერთეულებისთვის თანამდებობრივი სარგოების გაზრდის ნაწილში - მამუკა ნოზაძე) მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

შევიდეს შემდეგი ცვლილებები ასოციაციის 2018 წლის ბიუჯეტში:

(ა) ასოციაციის აპარატში ორგანიზაციული და სტრუქტურული ცვლილებების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი ახალი საშტატო ერთეულისათვის, ასევე, ასოციაციის ადმინისტრაციის უფროსისა და ასოციაციის ეთიკის კომისიის აპარატის უფროსი იურისტისა და ორი იურისტის საშტატო ერთეულისთვის დადგინდეს სახელფასო სარგოები

წარმოდგენილი სახით. შევიდეს შესაბამისი ცვლილება ასოციაციის აპარატის სახელფასო ფონდში;

(ბ) ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდის მიზნებისათვის ასოციაციის ბიუჯეტი გაიზარდოს 3100.00 (სამი ათას ასი) ლარით;

(გ) ასოციაციის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში, სხვადასხვა სექციაში არსებული საკანცელარიო ხარჯის ბიუჯეტი გაიზარდოს 1373.40 ლარით;

საკითხი 7. ა(ა)იპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ინფრასტრუქტურის განვითარების ცენტრის“ დაფუძნება, წესდების დამტკიცება, გამგეობის თავმჯდომარისა და წევრების არჩევა.

თავმჯდომარემ აღმასრულებელი საბჭოს წევრებს გააცნო ა(ა)იპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ინფრასტრუქტურული განვითარების ცენტრის“ შექმნის მიზანი, ამოცანები და წესდების პროექტი. აღინიშნა, რომ არსებული ინფრასტრუქტურული ბაზა ვერანაირად ვერ აკმაყოფილებს ადვოკატთა ასოციაციის დღევანდელ აუცილებლობებს, არ შეესაბამება ადვოკატთა გაზრდილი რაოდენობისათვის ტრენინგებისა თუ სერვისების მიწოდების მოთხოვნებს. ერთხმად აღინიშნა, რომ აუცილებელია სრულყოფილი ინფრასტრუქტურული და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, უზრუნველყოფა და განვითარება.

სხდომაზე დამსწრე წევრები გაეცნენ წარმოდგენილი წესდების პროექტს. აღმასრულებელი საბჭოს წევრმა დათუნა მოდებამდე გამოთქვა მოსაზრება ა(ა)იპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ინფრასტრუქტურული განვითარების ცენტრის“ წესდების 5.1. პუნქტში გამგეობის წევრთა რაოდენობა 7 წევრით განსაზღვრულიყო. წევრებმა გაიზიარეს დათუნა მოდებამის პოზიცია და წესდების მე-5 მუხლის, 5.1. პუნქტში განხორციელდა ცვლილება. წესდების მიმართ სხვა განსხვავებული მოსაზრებები თუ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომაზე განიხილეს ა(ა)იპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ინფრასტრუქტურული განვითარების ცენტრის“ გამგეობის თავმჯდომარისა და წევრების არჩევის საკითხი.

ღია კენჭისყრაზე, დადგა საკითხი ა(ა)იპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ინფრასტრუქტურული განვითარების ცენტრის“ დაფუძნების, წესდების პროექტის დამტკიცების, გამგეობის თავმჯდომარის და წევრების არჩევის თაობაზე. წევრების მიერ ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი **გადაწყვეტილებები:**

ა. დაფუძნდეს ა(ა)იპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ინფრასტრუქტურული განვითარების ცენტრი“.

ბ. დამტკიცდეს ა(ა)იპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ინფრასტრუქტურული განვითარების ცენტრის“ წესდება წარმოდგენილი სახით, დანართი 3-ის შესაბამისად.

გ. ა(ა)იპ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ინფრასტრუქტურული განვითარების ცენტრის“ გამგეობის წევრებად არჩეულ იქნენ: დავით ასათიანი; ირაკლი ყანდაშვილი; მარიამ კუბლაშვილი; გიორგი თევზაძე; დათუნა მოდებაძე; გიორგი ჭეხანი; სალომე ტყემელაშვილი.

დ. ა(ა)იპ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ინფრასტრუქტურული განვითარების ცენტრის“ გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა - დავით ასათიანი.

საკითხი 8. 2018 წლის საშემოდგომო ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდისთვის მოსამზადებელი კურსის გადასახადისგან გათავისუფლება/განაწილების შესახებ განცხადებების განხილვა.

ასოციაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა წევრებს გააცნო - გვანცა ჯუღელის, ნათია მაჩურიშვილის, გიორგი ზაქრაძეს, მარინა მაზანაშვილის, თამილა ქუთათელაძის და თამარ ნამგალაურის განცხადებები 2018 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდებისთვის მოსამზადებელი კურსის საფასურისგან გათავისუფლების/განაწილების თაობაზე.

წევრები გაეცნენ 2018 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდებისთვის მოსამზადებელი კურსის საფასურისგან გათავისუფლების/განაწილების თაობაზე ინდივიდუალურ განცხადებებს და ღია კენჭისყრის შედეგად 5 განცხადების ნაწილში ერთხმად, ხოლო თამილა ქუთათელაძის განცხადების ნაწილში - (9 მომხრე, 2 წინააღმდეგი - ციციწო ცხვედიანი, დათუნა მოდებაძე) მიღებული იქნა **გადაწყვეტილება:**

- ა) დაკმაყოფილდეს სხდომაზე წარმოდგენილი განცხადებები (გვანცა ჯუღელის, ნათია მაჩურიშვილის, გიორგი ზაქრაძეს, მარინა მაზანაშვილის, თამილა ქუთათელაძის, თამარ ნამგალაურის) განცხადებებში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად;
- ბ) გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოთ განმცხადებლებს.

საკითხი 9. 2018 წლის საშემოდგომო ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის საფასურისგან გათავისუფლების შესახებ განცხადებების განხილვა.

ასოციაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა წევრებს გააცნო ნინო ჯინჭარაძის, თამარ გულხაძარაშვილის, ანა ხუსკივაძის, ლევან ჩიქოვანის, ანრი სინაურიძის, თინათინ ფხოველიშვილის, სანათა ჩანგელიას, ირინა ფირცხალავას და გვანცა თაბუკაშვილის განცხადებები 2018 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდების საფასურისგან გათავისუფლების თაობაზე.

წევრები გაეცნენ 2018 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდების საფასურისგან გათავისუფლების თაობაზე ინდივიდუალურ განცხადებებს და ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული **გადაწყვეტილება:**

- ა) დაკმაყოფილდეს სხდომაზე წარმოდგენილი განცხადებები (ნინო ჯინჭარაძის, თამარ გულხადარაშვილის, ანა ხუსკივაძის, ლევან ჩიქოვანის, ანრი სინაურიძის, თინათინ ფხოველიშვილის, სანათა ჩანგელიას, ირინა ფირცხალავას, გვანცა თაბუკაშვილის) განცხადებებში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად;
- ბ) გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოთ განმცხადებლებს.

საკითხი 10. ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების დებულებაში ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვა, სპეციალური საჭიროების მქონე პირების მიმართ შესაბამისად ადაპტირებული გარემოს შექმნის უზრუნველსაყოფად.

ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მდივანმა წევრებს გააცნო სპეციალური საჭიროების მქონე პირის სოფიკო ხუციშვილის 2018 წლის 12 სექტემბერის განცხადება, რომლითაც მან ასოციაციას მომართა თხოვნით ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის (მხედველობადაქვეითებული) შეექმნათ შესაბამისად ადაპტირებული გარემო.

აღმასრულებელმა მდივანმა წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ამ მიმართულებით დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით დაგეგმილია სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის განკუთვნილი პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვა, რომელიც ამ პირებს (მხედველობადაქვეითებულებს) მისცემს შესაძლებლობას მათზე მორგებულ/ადაპტირებულ გარემოში შეძლონ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა განიხილეს აღნიშნული საკითხი და ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება:

- (ა) შევიდეს ცვლილება ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების დებულებაში, სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის შესაბამისად ადაპტირებული გარემოს შექმნის უზრუნველსაყოფად;
- (ბ) ეცნობოს განმცხადებელს ცვლილებების განხორციელებისა და შესაბამისად ადაპტირებული გარემოს შექმნის თაობაზე, თუ როდის შეეძლება მას ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობის მიღება.

საკითხი 11. ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის საგამოცდო პროგრამაში ცვლილებების შეტანა და დამტკიცება.

ასოციაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა წევრებს გააცნო ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის საგამოცდო პროგრამა და წარუდგინა მოწვეული ექსპერტების მოსაზრებები საგამოცდო პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი მოსაზრებები და ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული

გადაწყვეტილება: წარმოდგენილი ცვლილებებით დამტკიცდეს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის საგამოცდო პროგრამა დანართი 4- ის შესაბამისად.

საკითხი 12. ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდისთვის ახალი საგამოცდო ტესტების შემუშავების საკითხის განხილვა.

ასოციაციის აღმასრულებელმა მდივანმა წევრებს მიაწოდა ინფორმაცია ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდისთვის ახალი საგამოცდო ტესტების შემუშავების აუცილებლობის თაობაზე. მან აღნიშნა, რომ კანონმდებლობის ცვლილებასთან ერთად მიზანშეწონილია განახლდეს საგამოცდო ტესტების არსებული ბაზა და შემუშავდეს ახალი 705 (შვიდას ხუთი) ტესტი, რომელიც მკაფიოდ იქნება ჩამოყალიბებული და ახალ შემუშავებულ ტესტებში მინიმუმამდე იქნება დაყვანილი ტესტის შინაარსის ორმაგი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა. ასევე, აღმასრულებელი საბჭოს მდივანმა წევრებს მიაწოდა ინფორმაცია იმ პირების შესახებ ვინც შეიმუშავებს ახალ საგამოცდო ტესტებს.

აღნიშნულ საკითხზე იმსჯელეს წევრებმა და ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული **გადაწყვეტილება:**

(ა) ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდებისთვის შემუშავდეს ახალი 705 (შვიდას ხუთი) საგამოცდო ტესტი.

(ბ) დამტკიცდეს ექსპერტთა ჯგუფი (დანართი N5-ის შესაბამისად), რომელიც შეიმუშავებს ახალ საგამოცდო ტესტებს.

საკითხი 13. განახლებული მოდულის ერთიანი სტრუქტურის დამტკიცება.

ასოციაციის აღმასრულებელმა მდივანმა წევრებს მიაწოდა ინფორმაცია განახლებული სასწავლო მოდულების თაობაზე, რომელიც შემუშავების პროცესშია და გააცნო მოდულების ძირითადი კონცეფცია.

აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა გაიზიარეს წარმოდგენილი მოსაზრებები და ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული

გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სასწავლო მოდულების ერთიანი სტრუქტურა წარმოდგენილი კონცეფციის შესაბამისად.

საკითხი 14. “დავების განმხილველი ცენტრის” განცხადების განხილვა ერთ ტრენინგ მოდულზე აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე - „ადვოკატის როლი არბიტრაჟში“.

ასოციაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა წევრებს გააცნო “დავების განმხილველი ცენტრის” განცხადება ერთ ტრენინგ მოდულზე - „ადვოკატის როლი არბიტრაჟში“. აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული განაცხადი სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის წესებთან და დართული აქვს საჭირო დოკუმენტაცია.

აღნიშნულ საკითხზე, ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული

გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს დავების განმხილველი ცენტრის განცხადება წარმოდგენილ ერთ ტრენინგ მოდულზე - „ადვოკატის როლი არბიტრაჟში“ აკრედიტაციის მინიჭების შესახებ.

საკითხი 15. ააიპ საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის განცხადების განხილვა ერთ ტრენინგ მოდულზე აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე - “საკონსტიტუციო სამართალწარმოება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში: თეორია და პრაქტიკული ასპექტები”.

ასოციაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა წევრებს გააცნო ააიპ „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ განცხადება ერთ ტრენინგ მოდულზე - “საკონსტიტუციო სამართალწარმოება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში: თეორია და პრაქტიკული ასპექტები“ აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული განაცხადი სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის წესებთან და დართული აქვს საჭირო დოკუმენტაცია.

აღნიშნულ საკითხზე, ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული

გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ა(ა)იპ “საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის” განცხადება წარმოდგენილ ერთ ტრენინგ მოდულზე - “საკონსტიტუციო სამართალწარმოება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში: თეორია და პრაქტიკული ასპექტები” აკრედიტაციის მინიჭების შესახებ.

საკითხი 16. საქართველოს უნივერსიტეტის განაცხადის განხილვა, მინიჭებულ აკრედიტაციაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ასოციაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა წევრებს გააცნო საქართველოს უნივერსიტეტის 2018 წლის 12 სექტემბრის განაცხადი, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილებით მინიჭებულ აკრედიტაციაში თემაზე: „ინტერნეტის სამართალი“ ცვლილების შეტანის თაობაზე, კერძოდ შეიცვალოს ლექციების რაოდენობა და 10 ლექციის ნაცვლად ჩატარდეს 8 ლექცია და ლექციები: „ინტერნეტში სასაქონლო ნიშნების დაცვის“ და

„კონკურენციის სამართლის“ ნაცვლად, ჩატარდეს ორი ახალი ლექცია „პერსონალური მონაცემების დაცვა ინტერნეტის სივრცეში“ და „სმარტ (გონიერი) ხელშეკრულებები“.

წევრებმა განიხილეს საქართველოს უნივერსიტეტის განაცხადი და ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული

გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს და აკრედიტაცია მიენიჭოს საქართველოს უნივერსიტეტის განაცხადს წარმოდგენილი ცვლილებებით ერთ ტრენინგ მოდულზე - “ინტერნეტის სამართალი”.

საკითხი 17. აკრედიტირებული სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების რეესტრის ახალი ფორმის დამტკიცება.

ასოციაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა წევრებს მოახსენა, რომ ეფექტიანად მუშაობის მიზნით მიზანშეწონილია შემუშავდეს აკრედიტირებული სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების ელექტრონული ბაზა, სადაც სრულად აისახება აკრედიტირებული სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების შესახებ ინფორმაცია, რაც ასევე, სამომავლოდ გააუმჯობესებს ამ მიმართულებით მუშაობას.

წევრებმა გაიზიარეს ასოციაციის სასწავლო ცენტრის უფროსის მოსაზრება და ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული

გადაწყვეტილება: შემუშავდეს აკრედიტირებული სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების რეესტრის ახალი ელექტრონული ფორმა და სადაც ელექტრონულად (ექსელის ფორმატში) აისახება ინფორმაცია.

საკითხი 18. აკრედიტაციის წესში ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვა.

ასოციაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა წევრებს წარუდგინა არსებული აკრედიტაციის ფორმა და აკრედიტაციის მიღებისთვის წარმოსადგენი საბუთების ნუსხა. ასევე, გამოთქვა ინიციატივა, რომ მიზანშეწონილია აღნიშნული საბუთების ჩამონათვალს ფასიანი ტრენინგის შემთხვევაში დაემატოს გადახდის ქვითარი.

წევრებმა გაიზიარეს ასოციაციის სასწავლო ცენტრის უფროსის ინიციატივა და ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის წესში შევიდეს ცვლილება და აკრედიტაციის მიღებისთვის წარმოსადგენი საბუთების ნუსხას, ფასიანი ტრენინგის შემთხვევაში დაემატოს გადახდის ქვითარი.

საკითხი 19. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 20 ივნისის N3/869-18 გადაწყვეტილების (მოსარჩელე: მამუკა მახარაძე) აღსრულების მიზნით ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

წევრები გაეცნენ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 20 ივნისის კანონიერ ძალაში

შესული გადაწყვეტილებას (ადმინისტრაციული საქმე N3/869-18) რომლის თანახმად ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მამუკა მახარაძის სარჩელი და ბათილად იქნა ცნობილი ადვოკატთა ასოციაციის 2017 წლის 2, 3, 10, 16 და 17 დეკემბერს ჩატარებული ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგად შემოსული საჩივრების განხილვის მიზნით შექმნილი სამართლის ექსპერტთა ჯგუფის 2018 წლის 7 თებერვლის სხდომის ოქმი N2 იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მამუკა მახარაძის მოთხოვნა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის N35 ტესტში ქულის მომატების შესახებ. ამავე გადაწყვეტილებით ასოციაციას დაევალა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, მამუკა მახარაძისთვის ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის N35 ტესტში 1 ქულის მომატების თაობაზე.

აღმასრულებელი საბჭოს წევრმა მამუკა ნოზაძემ განაცხადა, რომ იგი არ ეთანხმება თბილისის საქალაქო სასამართლოს აღნიშნულ გადაწყვეტილებას და მიაჩნია, რომ ასოციაციის მაღალი პრესტიჟის და იმიჯის შენარჩუნებისთვის აუცილებელია მსგავსი შემთხვევების დროს გადაწყვეტილებები გასაჩივრდეს იგი თვლის, რომ სასამართლოს მიერ ასოციაციისთვის დავალებული ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, აპრიორად არ ნიშნავს იმას, რომ ასოციაციამ ავტომატურად გამოსცეს აქტი, რომლის თანახმად მოემატება ქულა მამუკა მახარაძეს. ასოციაციის ექსპერტთა საბჭომ კიდევ ერთხელ უნდა იმსჯელოს გასაჩივრებულ ტესტზე და ექსპერტების მიერ დასაბუთებული მოტივაცია უნდა იქნას წარდგენილი, რომლის მიხედვით უნდა მომზადდეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სასამართლოს არ აქვს უფლება სამართლებრივ საკითხთან, კერძოდ ტესტთან მიმართებაში მიუთითოს ასოციაციას, რომ ვთქვათ ტესტი არ არის სწორად შედგენილი, რაც ნათლად არც სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილიდან იკვეთება. მან ასევე, აღნიშნა რომ მხოლოდ ასოციაციის დისკრეციული უფლებამოსილებაა საგამოცდო ტესტის ირგვლივ და მის ავკარგიანობაზე მსჯელობა, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ტესტი არასწორად არის შედგენილი აღნიშნულის თაობაზე უნდა იმსჯელოს ექსპერტთა ჯგუფმა, სხვაგვარად თუ ასოციაცია სასამართლო გადაწყვეტილებას უპირობო გარემოებად აღიქვამს, რომ მოვუმატოთ ქულა გამოსაცდელს, ასეთ შემთხვევაში აზრს დაკარგავს ექსპერტთა ჯგუფის არსებობა ასოციაციაში და თავად საგამოცდო კომისიაც. მოსამართლის კომპეტენცია არ არის ქულის მომატება, არამედ აღნიშნული ქმედებით იკვეთება ასოციაციის კომპეტენციაში ჩარევის მცდელობა, რაც სახიფათო ტენდენციაა. მამუკა ნოზაძემ აღნიშნა, რომ ადვოკატთა ასოციაციის პრესტიჟის საკითხია, რომ არ ვიმოქმედოთ ვინმეს სურვილით, არამედ დავიცვათ კანონი და გამოვცეთ დასაბუთებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

შესაბამისად, იგი არ უჭერს მხარს სასამართლოს ზემოხსენებულ გადაწყვეტილებას რის საფუძველზეც მამუკა მახარაძეს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებულ ქულათა რაოდენობას სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე უნდა მოემატოს ერთი ქულა.

მამუკა მახარაძის ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის N35 ტესტში ერთი ქულის

მომატების თაობაზე საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე. კენჭისყრის შედეგად (10 მომხრე, 1 წინააღმდეგი - მამუკა ნოზაძე) მიღებულ იქნა

გადაწყვეტილება: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 20 ივნისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების თანახმად, მამუკა მახარაძეს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის N35 ტესტში ერთი ქულის მომატება მიღებულ იქნას ცნობად და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, მამუკა მახარაძის მიერ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებულ ქულას მოემატოს ერთი ქულა.

საკითხი 20. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 20 ივნისის N3/2410-18 გადაწყვეტილების (მოსარჩელე: გიორგი ფრანგიშვილი) აღსრულების მიზნით ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

წევრები გაეცნენ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 20 ივნისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებას (ადმინისტრაციული საქმე N3/2410-18) რომლის თანახმად ნაწილობრივ დაკმაყოფილდა გიორგი ფრანგიშვილის სარჩელი და ბათილად იქნა ცნობილი ადვოკატთა ასოციაციის 2017 წლის 4, 11, 18, 25 ივნისსა და 02 ივლისს ჩატარებული ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგად შემოსული საჩივრების განხილვის მიზნით შექმნილი სამართლის ექსპერტთა ჯგუფის 2017 წლის 27 ივლისის სხდომის ოქმი N1 იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა გიორგი ფრანგიშვილის მოთხოვნა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის N43 ტესტში ქულის მომატების შესახებ. ამავე გადაწყვეტილებით ასოციაციას დაევალა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, გიორგი ფრანგიშვილის საჩივრის ხელახალი განხილვის უზრუნველსაყოფად.

აღნიშნული საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე. კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული

გადაწყვეტილება: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 20 ივნისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების თანახმად, გიორგი ფრანგიშვილს საჩივრის ხელახალი განხილვა მიღებულ იქნას ცნობად და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, გიორგი ფრანგიშვილის საჩივარი N43 ტესტში ქულის მომატების თაობაზე განსახილველად გადაეცეს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგად შემოსული საჩივრების განხილვის მიზნით შექმნილ სამართლის ექსპერტთა ჯგუფს.

საკითხი 21. სხვადასხვა.

ასოციაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა აღმასრულებელი საბჭოს წევრებს, სთხოვა განემარტება გაეკეთებინათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში არსებულ ჩანაწერზე, კერძოდ, მე-11 მუხლის 1 პუნქტის თაობაზე, სადაც მითითებულია, რომ ადვოკატთა ტესტირების გავლის უფლება აქვს უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე ნებისმიერ პირს, მაგრამ ამავდროულად „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად ადვოკატი შეიძლება იყოს მხოლოდ საქართველოს მოქალაქე.

სასწავლო ცენტრის დირექტორმა აღმასრულებელი საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ ასოციაციას ხშირად მომართავენ მოქალაქეობის არმქონე ან/და ბინადრობის უფლების მქონე პირები და ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონში აღნიშნული ჩანაწერი მათთვის ბუნდოვანებას იწვევს.

აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა განიხილეს აღნიშნული საკითხი და მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული

გადაწყვეტილება: ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ყველა პირს რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, მიუხედავად იმისა არის თუ არა ის საქართველოს მოქალაქე, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდებში, თუმცა გასათვალისწინებელია ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც ადვოკატი შეიძლება იყოს მხოლოდ საქართველოს მოქალაქე. შესაბამისად ნებისმიერ უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირს აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდებში, მაგრამ ამავდროულად იმისათვის, რომ გახდეს ადვოკატი უნდა აკმაყოფილებდეს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #6).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე

საშტატო ერთეული
თავმჯდომარე
აღმასრულებელი მდივანი
ადმინისტრაციის უფროსი
აღმასრულებელი საბჭოს კოორდინატორი
კომიტეტების კოორდინატორი
მდივან-რეფერენტი
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი
ჟურნალის რედაქტორი
ფინანსური მენეჯერი
ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერი
ლოჯისტიკის მენეჯერი
კურიერი
დამლაგებელი
დამლაგებელი
დამლაგებელი
ქუთაისის რეგიონალური ოფისის მენეჯერი
თელავის რეგიონალური ოფისის მენეჯერი
ბათუმის რეგიონალური ოფისის მენეჯერი
ზუგდიდის რეგიონალური ოფისის მენეჯერი
სასწავლო ცენტრის დირექტორი
სასწავლო ცენტრის უფროსი კოორდინატორი
სასწავლო ცენტრის კოორდინატორი
სასწავლო ცენტრის კოორდინატორი
სასწავლო ცენტრის კოორდინატორი
ეთიკის კომისიის აპარატის უფროსი
ეთიკის კომისიის აპარატის უფროსი იურისტი
ეთიკის კომისიის აპარატის იურისტი
ეთიკის კომისიის აპარატის იურისტი
ეთიკის კომისიის აპარატის იურისტი